სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

**ქ. წალენჯიხის ტერიტორიული სამსახურის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი № 2**

ქ. თბილისი 31 მაისი, 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნინო ინწკირველი

საკონკურსო კომისიის წევრები: მამუკა სამხარაძე, ზვიად ნადირაძე, ოლეგ დოლიძე, მალხაზ ტაბლიაშვილი.

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ლაშა ბოკუჩავა

**დღის წესრიგი:** ქ. წალენჯიხის ტერიტორიული სამსახურის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საინჟინრო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე გამოცხადებულ #770 კონკურსში კონკურსანტების მერ წარმოდგენილი წინადადების გახსნა და ფასების გამოცხადება.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრის, მალხაზ ტაბლიაშვილის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში წინადადება დალუქული კონვერტის სახით წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „ოპტიმუსმა“ და შპს „იერმა“ მალხაზ ტაბლიაშვილმა დალუქული კონვერტები გახსნა და წინადადებაში დაფიქსირებული ფასები გამოაცხადა:

1) შპს „ოპტიმუსი“ - 4700 (ოთხიათას შვიდასი) ლარი;
2) შპს „იერი“ – 4333 (ოთხიათას სამასოცდაცამეტი) ლარი.

სატენდერო კომისიის წევრმა მალხაზ ტაბლიაშვილმა კომისიის წევრებს შეახსენა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 4700 (ოთხიათას შვიდასი) ლარი.

საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრებმა წერილობით დაადასტურეს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ.

**საკონკურსო კომისიამ დაადგინა:**

1. შპს „ოპტიმუსი"–ს და შპს „იერის"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის მიზნით, საკონკურსო კომისიის სხდომა განახლდეს არაუგვიანეს 2013 წლის 05 ივნისისა.
2. უზრუნველყოს კომისიის აპარატმა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი წინადადებების და წინამდებარე ოქმის დაუყოვნებლივ გაგზავნა, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge გამოსაქვეყნებლად contest@procurement.gov.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

კომისიის თავმჯდომარე: /ნინო ინწკირველი/

კომისიის წევრი: /მამუკა სამხარაძე/

კომისიის წევრი: /ზვიად ნადირაძე/

კომისიის წევრი: /ოლეგ დოლიძე/

კომისიის წევრი: /მალხაზ ტაბლიაშვილი/

**შენიშვნა**: საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი გიორგი მესხი არ ესწრებოდა საკონკურსო კომისიის სხდომას შვებულებაში ყოფნის გამო.